



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოცემის სურათის სახლების ზემოდ. № 5

ფასი 1 ლარი

ხელის მოწერა: ტფილის, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიომების სახლების ზემოდ. № 5  
ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად... 6 მან. —  
თითო ნომერი ..... — 15 კაბ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს  
დასაბჭედათ გამოგზავნილ წერილებს.  
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: 1. საქართველოს მატიანე. — II. ამის ამშები. — III საპოლიტიკო მიმოხილვა. — IV. დიდოელების არეულობა და განხილვა (შემდგი). — V. სავათნავას ლექსები — VI. ბრძოლა რომის დასაპურობლად (შემდგი) — VII განცხადებანი.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენცია.)

პოდა — მე არა მგონია ამისთანა დაუდგანელობა, როგორიც ჩვენშია, სადმე იქოს ეველამ იცის დიდმა და ჰატარამა, რომ წელს სომხეთში დიდი საქონლის ჭირია, ამა თუ ერთმა ხელის-უფალმა ხელი გაანძრიოს და თუ არას იქმს, გულმტკივნეულობა რამ აჩვენოს მაინც ხალხსა. კოდის ახლო-მახლო ბევრს ალაგას ჭირისაგან დახოცილი საქონელი ჭერია გზა და გზა. როგორც ეტეობა, ჭირიანი საქონელი ხალხს გაუტევებია, იმიტომ რომ არც ერთ ლექსებ ტეავი არ მინახავს, თუმცა ლეში ხევა ფრივ ხელუხლებელი იქო და სრულიად მთელი. ნე თუ ნადირიც ერიდება ჭირიანს საქონელს, რომ დახოცილთა ლეში ასე ხელუხლებლად დარჩეომილა. თუ ასეა, — ხელის-უფალი თუ გაცოთაგან სიფრთხილეს არ ჰსწავლობენ, ნადირთაგან მაინც აიღონ მაგალითი. ჭერია ეს მმოგრი გზებზედ და მინდვრებზედ, ასდის ერთი საშინელი სიმურალის სული, ჰსწამლავს გარეშემო ჰაერს და საკვირველიც არ არის, რომ ამის შემდეგ ადამიანისჭირიც გაჩნდეს. ნეტა რას ჰფიქრობენ ისინი, ვისაც მინდობილი

აქვთ იმაზედ ფიქრი და მზრუნველობა! რისთვის არიან, თუ არ ამ შავ დღისთვის. რა არის, ერთი სატიკი ბძანება გასცენ, რომ ჭირიანი საქონელი რომ მოკვდება, არავის არ მისცენ ნება გატეავებისა და უსათურდ დრმად ჩაფლან ხოლმე. ამ ბძანების აუსრულებლობის გამო ერთ თრს სოფლის მოხელეს კაცს ჯარიმა გადაახდევინონ ან საცა დაუფლები მმოვრი ნახონ მამასახლისის ხარჯით დააფლევინონ და ნახავთ ეგდება სადმე კიდევ მმოვრი ქვეწისა და ხალხის მოსაწამდავად, თუ არა.

28 აგვისტოს გაურახის მინდვრებზედ კოდიდამ დიდი ცეცხლი ჩანდა. ამბობენ, თათრებმა ჩვეულებისა მებრ, თავიანთ მომეთა და თანა მოსახლეოთა მნებს გადამტერების გამო წაუკიდესო. ეს გულის ამღრევი და საზარელი ჩვეულება ხშირია თურმე ბორჩალოს თათრებში. თუ ვისმეს ვისგანმე წერნა ახსოეს ჯავრს იმით იხდის, რომ მზად მოტანილს მნას, ფრთა მოქცეულად დამტულს თავის მაწევნარისას, წაგა და წაუკიდებს ცეცხლსა ამ ბარბაროზულს ქცევას ჯეროვანი უერადდება უნდა მიექცეს, თორემ დაიღუპა საწეალი და მაშვრალი ხალხი.

კოდაში ეხლა შენდება ჰატარა მშვენიერი სადარი თლილის ქისა, ამბობენ ხუთას ესტასი თუმანი დაჯდებაო. ამ ეპელების აშენებს იქაური მებატონე ღინერალ-მაიორი ალექსანდრე საგინოვი თავის საკუთარის ფულითა. ამ საედართანვე დენერალ-მაიორი საგინოვი აპირობს სოფლის საწავლებლისათვის შენობის დადგმასაც. აქაურს ხალხს მალიან ჰსურს სახწავლებელის გამართვა.

წელს კოდა და მის ახლო-მახლო სოფლებში შერი ძალიან ნაკლებათ მოვიდა, რაღაც გამდიამ მოქსჭამა. ამბობენ ეს ცხრა წელიწადიალ, რაც კალია ჰსჭამს აქაურის გლეხ-კაცის ოფლესა. ნეტი ვიცოდა გინ არა ჰსჭამს....

**სურამი.**—ვის არ აგრძნობინა ახლანდელმა ომმა? ვინ იღაპარაკებს ამაზე ისე, რომ გულიანათ არ ამოიხროს!

თუმც კი ჩვენში ისეთი მშვიდობაა, უშიშრობაა. რომ ომიანობას არც კი ვგრძნობთ, მაგრამ გულის მოსაკლავი და გულ საწელავი სურათები კი ბევრი.

თვალები უფრო მოსვენებით და გულინი დაშვიდებული გვექმნებოდა რომ ეს უბედური ბერძნები არ გადმოსულიერენ სოსუმიდამ. საზარელ და გულსაკვდავ კოფაში არიან ეს საცოდაები! როცა ესენი სოსუმში კოფილან, ამბობენ, თავიანთვის კოფელი ღონე და საშუალება ცხოვრებისა ჰქონიათ; ჰქონიათ მამულები, უმრავი და მომრავი ქონება, კოფელი გაწეობილება, რაც მიწის მოქმედისათვის საჭიროა. ახლა ამ არეულობის გამო გადმოცვივნულან აქა და კოფელი თვისი ნაწეავ-ნადაგი მონაგარი დაუტოვებიათ იაქ და წამოსულან რომ სულები მაინც დაიხსნან თათრების ხელისაგან. ისე საჩქარო წამოსულან და დაუცლით სოფლები, რომ ბეჭრს კანებში საქონელი კოშებმული და მინდგრებში შვილებიც კი დარჩენიათ. ველივე ეს რასაკვირველია თათრების ლუგმად შეიქმნებოდნენ.

მაგრამ საბრალოებმა ვერ ინუგებს თავი აქ გადმოსვლით, რადგან გზაზედაც დიდი შეწუხება გამოუვლიათ, ბეჭრიც დახოციდან და აქაც დიდს შეწუხებაში არიან. გადმოსვლისავე უმაღლე ზოგი გადასახლდნენ ბორჯომისკენ, ზოგიც დაიფანტენენ სურამში და სურამის ახლო სოფლებში, იმ იმედით, რომ იქნება ღმერთმა ჸქმნასო და სოსუმი ისევ ჩვენ დაგვიბრუნდესო და ისევ უპანვე გადაფსხლდეთო ჩვენ ჩვენს მამულშიო, მაგრამ მევგონებ, ამ დოდინში ამ საწელებს ამოუვიდესთ სული „მინამ ჩეტრე მოვიდოდა, ჰავლეს ტეავი გაამრესო“.

მთავრობამ წინადაღება მისცა, რომ ისინი გადასახლებულ იქვნენ სახელმწიფო სარჯით სტაციანოლის გუბერნიაში და უქმნის მხარეს.

ბერძნებმა არ მიიღეს ეს ორის მიზეზის გამო: ზირველი, რომ თითქმის არ არის სახლი აგათმეოფი არა ჰევანდეთ—აბა როგორ წაგლენ იმ სიმორე გზასა; მეორე, როგორც ზეით მოგახსენეთ, იმედი აქვთ, რომ როცა იქნება ველირსებით კიდევ ჩვენს სამშობლო მამულსაო. ამ თვის ზირველამდისინ აძლევდნენ სულზეთორ შეტ კოშეიკს სახარჯოდ, მაგრამ რაგაც უარი სთქვეს ხსენებულს წინადაღებაზედ, ეგ ულუფაც ჩამოერთოთ. არიან ასე უნუგეშოდ და კოგელ მხრით დაიწებულნი. ადგილობრივი ადმინისტრაცია არავითარ შემწეობას არ აძლევს და ვინც ჩვენი გლეხების მდგომარეობა იცის, ის დარწმუნებული იქმნება, რომ არც ამათ მხრით მოსალოდნელია რაიმე შემწეობა: „პატარებს რა აქს, რომ კვავს რა მისცეს!... მუშაობაც არ სად არის რომ ამით მაინც ირჩინონ თავი; მუშაობა არ ეზარებათ, ოდონდ კი სამუშაო იუოს. ისინი ვინც შიგ სურამში არიან კიდევ შოულობენ ვაინაჩრობით სამუშაოს და თითო თროლა გროშს რჩებიან და ზოგი აქ მეოფუნი სამსედრო ექიმები შემწეობასაც აძლევენ—მიხედვენ ხოლმე, სოფლებში მეოფები კი უფრო უნუგეშოდ არიან. აი გზათ მიმავალთა მე და აქაურმა ერთმა ფერშალმა ვნახეთ ერთს სოფელში შემდეგი სურათი: როცა შეველით ერთ ხაბზელში, საცა ამ ბერძნებისაგან ერთი მოსახლე დაბინავებულიერ ვნახეთ ამ ალაგზედ გაძლილ ფარდაგზედ მისვენებული სამი მცხედრი; იმათგან ცოტა იქით კუთხეში ორი ავათმეოფი იწვა, უკანასკნელ მდგომარეობაში მეოფუნი, ამათ გარს ეწვედნენ სამი ჰატარა ემაწვილებს კიდევ რა უწირდათ? უასაკობისაგამო არა ჰერძნობდნენ იმ საშინელ უბედურობას, რომელსაც მათ გარშემო თავისი საზარელ ფრთები გაემალა, ის საწელები გულგრილად უურებდნენ მცხედრებსაც და სულმობრძავთა სხეულთაცა. ფეხზე დადიოდა მარტო ერთი თხეთმეტი წლის ემაწვილი ბიჭი, რომელმაც არ იცოდა რა უმნა: მკვდრებზე უტირნა, თუ ცოცხლებისათვის უერი ეგდო!..

ისე დღე არ გაივლის, რომ ამათგანი სამი-ოთხი მიწას არ მიაბაროს.

ურიგო არ იქნება, რომ ვისიც რიგია, იმან უურადღება მიაქციოს ამ „ადამის“ შეიღებსა, რაიმე დონისმიება აუზინონ, დაიხსნან საწელები

ამ ტანჯეისაგან და ჩვენც ამ გულ-საკვდავ სანახაობისაგან.

არც ჩვენი სურამი გადურჩა წლევანდელ სხვა და სხვა გვარს სნეულებას მუცელა, წითელა და საქონლის სენი მაღიან გავრცელებულია. ახლა აქ დიდათ საგრძნობელია უქმითობა. ხალხმა გაიწევიტა იმედი მკითხავებზე, რადგან იმათი მკითხაობა ამ სნეულებათა წინააღმდეგ ვედარასა ჰსჭრის და ფანრით ეძებენ ქიმებს, მაგრამ ჩვენ სოფლებს ვინ აღირსებს ექიმსა! რამთონი ხალხი იქლიობა ამ უქმითობის გამო—ანგარიში არა აქვს. აი მოგახსენებოთ ერთ შემთხვევასაც: აქაურ ერთს სოფლებში ერთი ქალი აგათ ეოფილა ცნელებით. ერთხელ, როცა მისნი შინაური ეოფილან გარეთ მუშაობაზე, საჭმლის მზადების დროს გული წასვლია და ჩავარდნილა წერტლში და წაჟაშირებია ცეცხლი.

როცა ცეცხლს ხორცამდე მიუხწევია გამოფხილებულა. იმის ევირილ-წივილზე მოცვივნულან მქონდები და დაუხსნიათ სიკვდილისაგან. გადარჩენის იმედი არისო, მაგრამ მკურნალი არ არის. გვერდი ისე გამოსწვია, რომ მკლები მთლათ სხანანო.

ს. ბავრელი.

**იშვიათი.**—მოსავლის პირი შეიცვალა: ბუნებამ თრის თვის გვალვის მემრე მოგვაშორა თავისი რისხვა და ამ 5—9 აგვისტოს მშვენიერი წევიძა მოგვივლინა, რომელმაც თითქმის ამომწვარი სიმინდი სულზედ მოივანა. აწ მას თბილის ტარისის გარდა ადარაფერი ჰსჭრია. ჰსურის და ქერის მოსავალი მშვენიერია. ვაზს კი ადარაფერი ეშველა რა. სნეულებანი, რომელნიც „ივერიის“ № 24 „საქართველოს მატიანეში“ იქ მოხსენებული ჯერ კიდევ სუფევს იმერეთში. პირუტევთა ჸირიც არ მოგვმორებია. ამ უკანასკნელში თურქულის გარდა ადგილი უქირავს ერთ გვარს შესაუარს სნეულებას, რომელიც ადამიანის მუცელას მგზავია: პირუტევი ამისაგან ავათ გამხდარი მუცელში იხსნება და მსწრაფლად კვდება. ამ სენს აქ „ჸირს“ უწოდებენ. ამის წამალი არ იციან, რაისაგამო საქონელი მომეტებულ ნაწილად ძროხა და ხარი მრავლობით ჰსწრება. კულაშიდამ ფარცხა-ნაუანევში მოვდიოდი და მარტო ამ ორ სოფელშეა, რომელნიც ერთი-

ერთმანერთზედ 30 ვერცხლის სივრცეზეა, ორმოცამდე ძროხა და ხარი ზოგან მკვდარი და ზოგი მომაკვდავი ვნახე მე თვითონ.

— ა— ი— ი— ძე.

— აი ამ ჸირუტევის ჸირის ვითარებაზედ რას იწერება მეორე კორონაციონული გურიიდამ: „ეს სნეულება იწევება იმით, რომ ჸირუტევს უცებ ურები მის ეშვება, თვალში ცრემლი მოხდის და მთელს აგებულებაში რაღაც სისანტე და დაღალულობა ეტეობა. მეორეს თუ მესამეს დღეს ჸირუტევი საჭმლის ჭამას თავს ანებებს, თან კვენესა და ხშირათ ტანში მგერაც მოხდის; შემდეგ ამისა ჸირუტევს მწვანეთ ნაღველის ფრად ტანიდამ ასაქმებს, თან ოფლს ასხავს და ჸირიდან საშინელი სიმერალე ამოხდის. ერთს კვირაზედ, ანუ ცოტათი ადრე ჸირუტევი კვდება საშინელის ტანჯეით და მწუხარებით. შესანიშნავია რომ ამ სენით მკვდარი ჸირუტევი რომ გასჭრათ, მაშინ ნახავთ შემდეგსა: მოელი შიგნეულობა ფერცვლილია, თითქოს ვისმეს მოეხარშოს, უველაზედ უფრო გამოცვლილია სანაღველო ბუმტი, რომელიც მეტად გადიდებულია,,,

„სხვა და სხვა გარემოებამ და სნეულებამ, და სნეულნიათა შორის ნამეტნავად მუცელებით დამან ხალხს საქმე გაუჭირა. ხალხი წელში გახრილია და არც იცის რით დაისხნას თავი ამ საშინელის დაჭირებიდამ.“

ი. თაყაიშვილი.

## ო მ ი ს ა მ ბ ა ბ ი

26 მარიამობისთვიდამ, როგორც მოგეხსენებათ, რუსის ჭარი, რომელსაც მიეხრო რუმინიის ჭარიც, პლევნას მისდგომია და ცხარის როლა გამართულა. 30-ს სამი გამაგრებული ადგილი ღენერალს სკობელევს დაუჭირია და ერთიც ღენერალ როდიონოვს. მეორე დღეს ბრძოლა ხელმეორედ ატეხილა და ღენერალი სკობელევი იძულებული ყოფილა თავი და ენებებინა წინადლის დაჭერილ ადგილებისათვის. პირველს და ორს ენკენისთვეს სროლა არ შემწყდარა. 2-ს საღამოს ეჭვს საათზედ ოსმალებს ცხარი სროლა დაუწყვიათ იმ

ადგილისათვის, რომელიც ღენერალ რადიონოვის მიერ იყო დაჭერილი, მაგრამ ვერა გაუშეყიათ რა და უკანვე დაწეულან. 26 მარიამობისთვიდამ მოყოლებული 3-ს ენკენისთვემდე ჩვენის მხრით დაჭრილთა შორის 239 აფიცერია და 9,482 (ცხრაათას ოთხას ოთხმოცდა ორი) ჯარის კაცი; მოკლულთა რიცხვი 3,000 (სამი ათასია). ერთის სიტყვით დაჭრილთა და მოკლულთა შორის მიახლოვებით 200 აფიცერია და 12,500 ჯარის კაცი. რუმინის მხედრობასაც დიდი ზარალი მისცემია; ორს ენკენისთვემდე 60 აფიცერი და 3,000 ჯარის კაცი დაპკლებია, დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვი ერთად რომ ავიღოთ.

— 1 ენკენისთვეს ღენერალს ლორის მელიქოვს, რომელსაც მუხთარ-ფაშის ადგილ-მდებარეობა უთვალიერებია, პატარა სროლა მოსვლია ოსმალებთან; ამ სროლაში ჩვენი ერთი ჯარის კაცა მოუკლავთ და 23 დაუჭერიათ. ოსმალოს მხრით კი მარტო დაჭრილთა რიცხვი 86 კაცია.

— შუა-დაღისტნის რამდენსამე სოფლებში არეულობა მომხდარა; ამის გამო გიორგიეს სკის ხიდთან აჯანყებულთა და რუსის ჯარის შორის ომი გამართულა, ჩვენი სამი აფიცერი დაუჭრიათ, ჯარის კაცთა შორის 8 მოუკლავთ და 36 დაუჭრიათ. აჯანყებულთა შორის ათი კაცია მოკლული.

— ჩერნოგორიელებს კიდევ სამ ალაგას გაუმარჯვნიათ.

— სუხუმი ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ხელთ არის და ოსმალოს ჯარი კი უკან გაბრუნდა და თან აფხაზებიც წაასხა, რომელთა რიცხვი დიდალია. ამის შესახებ გაზეთის ინგლის კორელაციონდენტი ტრაპიზონიდამ იწერება შემდეგს: „აქამდისინ (ე. ი. 12-ს მარიამობისთვე-მდე) ოსმალეთში გადმოსახლებულთა რიცხვი თცი ათასამდეა. მათ შორის ცოტაოდე მეგრელიც ურვეია, სამოც სახლობამდე, ესენი აფხაზეთში სცხოვრობდნენ თურმე. ესენი თავის ნებით არ არიან გადმოსული და სრულიად არ მაღვენ უკან დაბრუნების სურვილს როცა ომიანობა შეწყდება. ამის იმედი აქვთ, იმიტომ რომ მათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ

აჯანყებაში. ბევრმა მათგანმა მფარველობა იტალიის კონსულს მოსთხოვა, რაღაცაც ამის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან რუსეთის ქვეშვრდომი მას აქედ რაც ომი ასტყდა.

„აფხაზები კმაყოფილნი არ არიან თავის ახალის მდგომარეობისა, თუმცა ხონთქარმა თავისი ადიუტანტი გაგზავნა მისაგებებლად, რომლის პირითაც შეუთვალა, რომ რა წამსაც შესაძლო იქნება იმ წამსვე შეგუდგები თქვენს დაბინავებასაო. აფხაზელებიც იმიტომ გადმოსახლდნენ, რომ ბევრს რასმეს დაპპირდა მათ ხონთქარი. იგინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ოსმალოს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მისცემდა მათ პირველშივე და არ მოუცდიდნენ სამუდამოდ დაბინავებას. მაგრამ იმედმა უმტყუვნათ. ეხლა თან და თან დღიურ პურსაც უკლებენ. წარსულ კვირას ღენერალ გუბერნატორს წარუდგინეს თავისი უილაჭობა და სთხოვეს მთავრობამ რაიმე შემწეობა მოგვეცეს ან ფულით ან პურითო. გუბერნატორმა მაშინვე ტელეგრამმა გაგზავნა სტამბოლში, მაგრამ ჯერ არავითარი პასუხი არა მოსვლია.

„ჯერ-ჯერობით ამ ხალხმა თავის ნივთების გაყიდვას მიჰყო ხელი და შიში არის, მერე ქურდობას არ მიადგეს უილაჭობის გამო.

„როდესაც აფხაზელების მოსვლა გაიგო ქალაქმა ძალიან შეშინდა, რადგანაც ისინი, ამბობდნენ, ქურდობას არიან მიჩვეულნი როგორც ჩერქეზებიო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გვარი აზრი ცოტად თუ ბევრად ცილის წამებაა. ჩერქეზებისა და მათ შორის ერთი დიდი განსხვავებაა:

„იქნება ამათაც ჰესურდეთ ქურდობა, მაგრამ ქურდების სახელისა კი ჰესურდებიათ და ერიდებიან, მაშასადამე ჰესურდნენ ქურდობის საძაგლობას. ესეც დიდი წარმატებაა ჩერქეზებისა და ქურთების შედარებით.

„მას აქეთ რაც აქ არიან, ამათ არავინ არ უჩივის. მხოლოდ ერთი საყვედურია მათკენ მისაქცევი: იგინი ამტვრევენ თავისის ბინის კარებებს და ფანჯრებს, ხეხილებს ჰელენენ ცეცხლის გასაჩენად საჭმლისათვის. სუხუმში კი

სრულებით სხვაფრივ იქცეოდნენ: იქ ააოხრეს ყოველი სახლი, გამოიტანეს რაც გამოსატანი იყო და სულ ნახევარ ფასად გაასაღეს აქ.“

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.**—ტიერის სიკვდილმა ზოგ ს სიხარული მოუტანა, ზოგ ს მწუხარება. რესპუბლიკის მოწინააღმდეგ გაზეთებს უხარიანთ, ტიერის შემდეგ რესპუბლიკლებს მოთავედ ვიღა ექოლებათო. ამაზედ გაზეთი *République Française*, რომლის სორცი და სული გამბეტა არის, უჩასუხებს შემდეგ ს: „რამდენსამე კვირის შემდეგ საფრანგეთს თავისი ბედი თვის ხელთ ჭირება. იგი აღიარებს თავის სურვილს, იგი ჩამოატარებს კენჭს ისე ვითომ ტიერი ისევ ცოცხალი ეთილიდეთს. კაცი მოკვდა, მაგრამ მისი სული ისევ ცოცხალია. ეს სული ამოქმედებს მათ. ვისაც მოუხდება ტიერის მიერ დაწესებულის საქმის დაბოლოვება. დიდებულს ხალხს, რომელსაც თავისუფლობა ჰქონს და ღონისძიებაცა აქვს პატივი აცემინოს თავის სურვილს, არას დროს არ შემოაკლება კაცი მოდგაწერი და მეთაური.“

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თვით მაგრამანმა და მისმა მინისტრებმა ზრდილობა გამოიჩინეს და მწუხარება გამოუწეხადეს ტიერის მეუღლეს. მინისტრმა ფურტუმ წინადაღებაც შეიტანა სამინისტროს საბჭოში, რომ რადგანაც ტიერს დიდი ღვაწლი დაუდვიათ საფრანგეთისათვის, ამიტომ სახელმწიფომ მისი დასაფლავება თავის სარჯით უნდაამოხდინოს. მთავრობა გულშირასაკვირველია უხარიან ტიერის სიკვდილი, მაგრამ თავის მომხრე გაზეთებს მაინც არ აჰევა და ზღილობას არ გადუდგა.

ეველა მხრიდამ ტიერის ცოლს ტელეგრამმები მისებით, რომლითაც უცხადებენ დიდს მწუხარებას მის ქმრის გარდაცვალების გამო. უცხო ქვექნების ხელმწიფებისაგანაც მისვლია ტელეგრამმა, — ეველაზე უწინარესს ბეღვის კოროლისაგან, შემდეგ რესეთის ხელმწიფე იმპერატორისაგან.

ზემოდ მოგახსენეთ, რომ მთავრობას უნდოდა სახელმწიფო ხარჯით დაქსაფლავებინა ტიერი და ეს თავისი სურვილი აწონობა ტიერის მეუღლეს. ქვრივმა მიუგო, რომ ამის თანახმა მხოლოდ იმ პირობით

ვიქებით, თუ დასაფლავების რიგი და წესი ჩემ ხელთ დარჩებათ. მთავრობას არ მოეწონა ეს აზრი. კარგად იცოდა, რომ მწედრის გასვენებაში პირველი ადგილი ექირებათ ტიერის მეობრებს და რესპუბლიკის დასის კაცებს. მთავრობას უნდოდა, რომ ეს კარგმოება აუცილებინა თავიდგან და მათ მაგიერად თავისი კაცები და ეუენებინა და მით ცოტაოდენი თანაგრძნობა მაინც შეეძინა ხალხისაგან. მაგრამ ტიერის მეუღლე და მთავრობა გერმორიგდნენ ერთმანეთში და აშიტომ ტიერის დასაფლავება თვით იტვირთა მისმა მეუღლე მთავის სარჯით და თავის სურვილის თანხმად.

— იმ სენატორებმა, რომელიც რესპუბლიკის დასს ებუთვნიან, შემდეგი მანიფესტი გამოჰქონეს საფრანგეთის სადაცისადმი ტიერის სიკვდილის თაობაზე:

„მუირფასნო მამულის შვილნო,  
„საფრანგეთმა იგრძნო ის დიდი უბედურება,  
„რომელიც შეემთხვა მას ამ ქამად. ტიერი ადარ არის.  
„ამ გვარ განსაცდელი ჩვენ, სენატის რესპუბლიკები, ვალდებულადვრაცხვთხვენთავსერთხელგიდევ „აღვიაროთ ჩვენი ერთგულობა რესპუბლიკისადმი  
„და იმ მტკიცე და გონიერ პოლიტიკისადმი, რომლის „მაგალითი უჩვენა ქვექანას განსვენებულმა მამულის „შვილმა. ტიერი მიემხრო რესპუბლიკას თვისის „გონებისადასამშობლოსმოქვარეობისმალით. მისის „აზრით მხოლოთ რესპუბლიკას შეეძლო დაედგინა „კეთილი მმართველობა; მხოლოდ რესპუბლიკას „მეუმლიან დააგმაუფილოს ერთსა და იმავე დროს „წესიერება და თავისუფლება და ბოლო მოუღოს იმ „მოდგაწერას, რომლის გამარჯებისათვის „პიროვანი უფლება (ე. ი. მონარხია) არის საჭირო.

„ტიერი თავისდღეში ხალხის თვით-უფლების „მოდგაწერ იურ და ამავე მოღვაწეთ გარდიცვალა. „იგი არამც თუ მოხერხებული მმართველი იურ „საფრანგეთისა, რომლისა გამო შეიძინა ხალხის „მაღალი უცხოეთის პატივის ცემა, არამედ თვისის „მაგალითით დაამტკიცა, რომ განათლებულსა „და თავისუფალ ქვექანში შშიდობიანობა, „მრომა და კეთილმდგომარეობა ფიცხლავ აჟევავ „დებიან, როდესაც უმაღლესი მმართველობა იმ „გვარ კაცის ხელშია ხოლმე, რომელიც თვის სახუ „და კონსტიტუციისა და ხალხის სურვილის პატივი-

„სწერაზედ ამჟარებს.

„ძვირფასნო მამულის შეიღნო, საფრანგეთს არ „აკლია პატივსაცემი და ღირსეული პირი: იგინი „მზად არიან განაგრძოს ტიერის მოდგარება და „მიერნებ თავისუფალისა და ზომიერის რესპუბლიკის „დადგენას, რომელიც დაკმაცეოფილებს უოველს „განონიერს საჭიროებას და გზას მისცემს უოველს „წარმატებას.

„ამ ქამადაც ჩვენი მიღრებილება იგიგეა რაც აქამდე „იუო. საფრანგეთს კენტი მიეცემა არჩევანისათვის „ამ მომავალ არჩევანში მან სიმტკიციდ და ერთობით „უნდა აღიაროს თავისი სურვილი.

„კაცი წაგა წამოგა, მაგრამ დედა-აზრი უკვდავია. „ტიერმა გვიანდერმა ჩვენ გამოცდილებისა და „საშუალოს-მოუკარების მაგალითი, რომლის „წინაშე უოველმა რესპუბლიკელმა ერთგულობა უნდა „იქმაროს, და ამაში მდებარებს ის ღირსეული „პატივიც, რომელიც შეგვიძლიან ჩვენ გადუხადოთ „ტიერს-მაგ წარჩინებულს ფრანციელს.“ ამ მანიუებტის ხელი უწერიათ უველა რესპუბლიკელთ სენატორების წარმომადგენელთ, განურჩევლად და საერთოდ.

ეს მანიუებტი სხვათა შორის მით არის შესანიშნავი, რომ მთავრობას უკვეტს უოველს იმედს ზოგიერთა ზომიერ რესპუბლიკელებთან მორიგებისას. ამ მანიუებტით ეს ზომიერი რესპუბლიკელებიც უკანებიან მთავრობას, ჩვენი სურვილიც გადაწევეტილია და ტეუილ უბრალოდ ნუ სწუხდებითო.

მანიუ სახოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ რესპუბლიკის დასი საკვირვლად სარგებლობს ტიერის სიკვდილით და მისის განუსაზღვრელის ქება-ქესხმით შეურს ჯაგრი ამოიყაროს აწინდელის მთავრობისა.

— სასამართლოს გამბეტისათვის სამი თვით დატუსაღება გადაუწევეტია და 2,000 ფრანკი ჯარიმა. გამბეტა, რასაკვირველია, უმაღლესს სასამართლოში გადიტანს საქმეს, მაგრამ თუ იქაც ესევე გადაწევეტილება განუჩინეს, ცუდი საქმე დაემართება რესპუბლიკის დასსა. საფრანგეთში სუფეს კანონი, რომლის მაღით უოველს პატის, რომელსაც სასამართლომ გარდაუწევიტა ერთის თვის (ან მეტისა) საპერობელო, ხეთის წლით უნდა წარმოადგას არჩევანის უფლება. მაშასადამე გამბეტაც

არ შეეძლება მონაწილეობა მიიღოს საფრანგეთის საპოლიტიკო ცხოვრებაში ხუთის წლის განმავლობაში. ამისთანა ნიჭიერისა და გავლენიანის კაცისათვის, როგორც გამბეტაა, ხმის ამოწევება და ენის მოკვეთა დიდი დასაკლისია საფრანგეთისათვის გამბეტა, როგორც ეტეობა, ცდილობს, რომ მომავალ არჩევანამდე მაინც არ გადაწევეს მისი საქმე და არჩევანში მაინც მიიღოს მონაწილეობა. ამიტომ გამბეტა არ მისულა სასამართლოში მისის საქმის გარჩევის დროს. ამის გამო საქმე რასაკვირველია სელმერებიდ განიხილება.

— მაგმაგონს ჯერ თავისი მოგზაურობა, როგორც მოგეხსენებათ არ გაუთავებია. ქალაქს ბორდოს რომ მისულა სხვათა შორის შემდგები უთქვამს ქალაქის მოთავებათვის: დარწმუნებული იქავით, რომ მშვიდობიანობა არ დაირდება, როდესაც შასუხის საგებლად გამოვიწვევ ჩემს ქვეყანას (ე. ი. არჩევანის დროს) დაკონსტიტუცია, რომელსაც თქვენ ერთგულად ემორჩილებით და რომელსაც შეც ერთგულად დავიცვავ, დაუბრკოლებლივ იმოქმედებს ხალხის წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის.“

**ინგლისი.** ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრს, ფლორეს დერბის შემდეგი სიტუაციაში დაივერტული ადმოსავლეთის ომიანობის შესახებ: „ჩვენ ვიხმარეთ უოველი დონისძიება, რომ ეს საუბედურო ომი არ გამართულია, მაგრამ ვერა გავაწეოთ რა. წარსულს რომ გადავავლოთ თვალი არა მეორია, რომრისამე გარიგებაში შესაძლო უოველი დონის მხარე (მებრძოლე) დარწმუნებული იქო, რომ ომი ადრე თუ გვიან აუცილებელია, და ამ გვარ გარემოებაში უოველგარი შეამდგომლობა ფუჭია.

„მე არა მგონია, რომ ეხლა დრო იქოს შეამდგომლობისა მებრძოლოთა მოსარიგებლად. ინგლისს არ შეუძლიან შეამდგომლობის სურვილი გამოიჩინოს, როდესაც არავითარი იმედი არა აქებს, რომ ის შეამდგომლობა გასჭრის. მაგრამ შეამდგომლობის დროც მოვა, და იქნება მალეც მოვიდეს; — მაშინ, დარწმუნებული იქავით, ამ შემთხვევას ხელიდგან არ გავუშებოთ. ჩვენ უოველ დონისძიებას ვიხმართ, რომ ჩვენი შეზობლები განსაცდელი დგან გამოვიყვანოთ და იმავე დროს

გეცდებით, რომ ჩვენ თვითონ არ ჩავწევდეთ იმავე განსაცდელში.“

ამ გვარი ლაპარაკი ვერაფრად მოსწონს, მაგალითებრ, გატექს Times-ს, რომელიც იმ აზრისაა, რომ ინგლისი და სხვა სახელმწიფო ებლავე უნდა გაერიონ საქმეშიო და ომიანობა შესწევიტონო. ამ გაზეთის სიტყვით ასმალებმა იმისთანა დაბრულება დასახვედრეს რუსებს, რომელსაც არავინ ევროპაში არ მოელოდათ. რუსეთი, რასაცირველია, გამარჯვებული გამოვაო ბრძოლიდგან. რადგანაც მას უფრო მომეტებული და ხერხიანად განწეობილი ჯარი ჰქავსო, მაგრამ წხადიათ აგრეთვე, რომ ეს გამარჯვება ძალიან ძირიად დაუჯდებათ რუსეთს და დიდს მსხვერპლსაც დაადებინებსო. ამავე დროს ძნელი საცოდნელია თუ რა გამოვა ამოდენა მსხვერპლიდამათ. ევროპაშ ბოლო უნდა მოუღოს ამ სამწუხარს ომსათ და ინგლისი, სხვა სახელმწიფოთა თანხმობით, საქმეში უნდა ჩაერიოსთ და თვისის მოქმედების საფუძვლად სტამბოლის კონფერენციის წინადადება უნდა იქნიოსთ. ეხლავებო თორებ მერე გვიანდა იქმნებათ.

## დიდოელების არაულობა და ძახეთი.

(ქადაგი) (\*)

ამის შემდეგ მკითხველებს მოვახსენებთ დიდოელების არეულობის ამბავს იმ სახით, რა სახითაც მე ერებულდე მიწერია.

9 თაბათეს.—არანანო-თარანანო გაუწვევტელი იქ, —დილა ნისლიანი იქ, მაგრამ ავდარს არ მოასწავებდა ნისლი მთაზედ სხვა უფლისა, — მივუახლოვდით, თუ არა მთებს, —ნათლისმცემელშივე დასხაწიგმამ. რადავადექით-უსწორო-მასწორობის ბილიკებს, — გულმა ძგარი-ძგური მოუმატა, წვიმამ ჩაიარა ბეჭებში, — გთქვი: „რაგინდა ჩემო თავო, რაზედ იჭირებ საქმეს, — ამ მიკიბულ-მოკიბულებში ხუთი ლეკი, რომ იუს ჩასაფრებული, ხომ ტუტა გვადინა!.. ამ ფიქრებზედ ამელიურსა მთელი ტანი, — მაგრამ რას გავაწუბდი, — მიბმანეს და წაველ — რამექმნა. შეტათ შაგვაფერსა წვიმამ, — ჯარი მალიან დაიღალა და უველა ამისაგამო ჩვენმა სარდალმა საჭირო დაინახა, — ჯარი მახლობლათ დაებანა გებინა. ბინა

დავდეთ ჯატკის ნიდის თავში, რომელიც მდგბარებს თერთმეტს ვერსტზედ ს. საბუიდამ. დასწეს ბინა, — გთქვი თუ ებლავ წაეუწებიან-ცხვარსაგით მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დაანთქს ცეცხლები, დაიწევეს ეველგან რუსულათ თუ ქართულათ სიმღერა. მეტათ მხიარულათ იევნენ ეველანი.

10 თიბათვეს. დილა მშვიდობით გათენდა. წვიმა მაინც კიდევ არ გვეშვებოდა, უქს საათზედ დილით მუშა ხალხი საგაო მცველებით, გაიგზავნა წინ გზების საკეთებლათ. რვა საათზედ დაიმრა ლაშქარი. სულ ლეკების ხოცვაზედ და ქლეტაზედ იქო ჩუმჩუმათ ლაპარაკი, — ეტერბოდათ ხალხს, რომ ფონს მიუახლოვდნენ, უკრები უფრო მცქვიტათ ქშირათ, განკარგულებაც მეტათ ფთხილი და სასტიკი იქო. შეგუდექით ეადორის სერს, ბევრს ლეკს შაუკურთხეს ცოცხალი და მკვდარი, როცა ჯარმა დაინახა დამწვარი და დაქცეული — მშვენიერი ეადორის ციხე. მირიდამ კიდევ ისე გასამაგლებული არ ჩანდა. მამებჯინა ელემი სული. ამ თვალ აუწვდენელს აღმართზედ. გამწერივდა ჯარი თითოეულით, მიდის და გერავიდა, — სად იქო ერთი ოციოდე მარჯვე ბიჭი—ხერებიდამ ერთი ტუტა ედინათ ჩვენთვის. ავედით როგორც იქო, მაგრამ მალიან ფთხილათ, წინდახედვით. დამწვარმა, დანცრეულმა ეადორის ციხემ აგილრინა გული. ეს ციხე გარდა იმ მნიშვნელობისა, რაიცა ჰქონდა სამხედრო ანგარიშით, — წარმოადგენდა მშვენიერს შესაფარს ადგილს მწერმსებისათვის და თვით ლეკებისათვისაც ცუდს ამინდში: აქ ეოველთვის ეარაულები იდგნენ — თვითონ ლეკებივე მწერმსები როდესაც უამინდობისა გამო ვერ გადაიტანდნენ თავიანთ სურსათს ბინაზედ, — აქ შეინახავდნენ ხოლმე ზურს, მარილს და სხვას და აქედამ წვრილ-წვრილათ გადაჰქონდათ ბინაზედ. ამის გარდა — მოკიდებული კანებიდამ ვიდრე ხიტრა ბიტრას ხოლომდინ, ანუ ხოფრომდინ — ხოფელი არ არის, თავის შესაფერი ადგილი ხოლოთ ეს ციხე იქო როგორც აქედამ, ისევე იქიდამ მომავალის მგზავრისათვის. აი უველა ამისა გამო ბეჭრმა დაიკრა გულში ხელი, გაუსწორა თოფს ტალი. ბატარა დასვენების შემდეგ გავედეგით კიდევ გზას და რამთვენსაც უახლოვდებოდით ცხვრის ნაბინაურებს იმთვენი უფრო მეტად გვიღრინავდა გული ნახულის სურათებისაგამო: გზის მარჯვენა და მარცხენა

\*) „უკანას“ № 27.

მხარეებიდამ—მოისმოდა ძაღლების უფა; საწელები ძლივს—სანსალით გვიახლოებოდნენ ხოლმე; ზოგი ალერსით იქნევდა კუდს, თითქოს თავის მხრის კაცი იცნოვო, ზოგი კი მაინც ანჩხლდებოდა რაც შეეძლო. ეს მაღლები თურმე ჩვენის მემცხვარეების ძაღლები იქნენ. როგორ გგონია, მკითხველო, რას აკეთებდნენ აქ ძაღლები? უდინენ ერთგულ მცენებათ თავიანთ ჰატრონებს, რომელებიც მეტათ საცოდავათ ევარნენ დაჩქილები. უკელა მიცვალებულს არი და სამი ძაღლი ეწვა გარშემო, და ზოგი იმათვანი ისე იურ შისუსტებული, რომ უფაც კი აღარ შეეძლო. ბევრმა იცნო თავისი მცხვდარი, ბევრმა გადმოუარა გამწვავებული ცრემლი... უკელა იგინი მუქუროსეს განგარებულებით დაასაფლავა ჯარმა როგორც მოხერხდებოდა. აქეთ-იქით სერებზედაც ბევრი მეეფარი გამოხნდა, ისინი კიდევ ედგნენ მცენებათ ნაბინავარ ადგილებს,— ესე იგი იმ ადგილებს, სადაც ერთხელ მაინც სალაფავი ქმართ. ბევრგან ბინებზედ უკელიც და უქვილიც იურ, მაგრამ ამ ერთგულს და მართლა საეფარელს შირუტებებს შირიც არ ეხლოთ და ასე 31-მაისიდამ მოკიდებული—ათს თიბათვემდე ეს ძვირფასი შირუტები მშიერ-მწერვალები არ მოშორებიან არც თავიანთ მცხედართ-ჰატრონებს და არც ნაბინავებს. ამ სურათებმა მეტათ ააღელვა ხალხი, უკელა ჩქარობდა, უკელა ექცებდა დროითი შეტაქებას მტერთან და სამაგიეროს გადახდას.

ჩვენს ჯარს ამოპევნენ ის მწერმსებიც რომელთაც წევარი დაჭრაცეს და რომელიც ლეგებს გადატენენ დაჩამოვიდნენ კანეთს ამბის ჩამოსატანად. სასაცილო და სამწუხარო იურ ამ საწელების გულნატების მწერმსების საქმე. ისე ალერსიანათ და მხიარულათ მიესალმებოდნენ თავიანთ ძაღლებს—თითქო შვილები არიანო. მეტათ ბევრი ხროგა შეიუარა ძაღლებისა. უბძანეს, რომ ჯართან ტირება იმათი არ შეიძლება, რადგან ერჩოდნენ ხალხს. გთქვით, რომ საწელებს დაექსაჭიებათ ძაღლებიო, მაგრამ აქაც ხერხი ეოფილა: მწერმსებმა კარგა-მაგრა დააძლეს ძაღლები, მემრე აიღეს ჩობახები, შეტუქსეს, ხაცოდავი ძაღლები გაბრუნდნენ ისევ უპან. მერე, როგორ გგონიათ, სად წავიდნენ? როგორც მწერმსებმა სთქვეს, —ისეც მოხდა: ეს საცოდავები—ისევ ნაბინავებზედ მისულიერენ და შეძლებ როდესაც ჯარი უპან დაბრუნდა, გამოუარეს მწერმსებმა და წამოასხეს შინ. მხოლოთ როდესაც ჩვენის ჯარიდამ გუნდი რამ გამოიგზავნებოდა აქედ

საჭიროებისა მებრ, ჰატრონები გამოჟევებოდნენ და საჭმელს მისცემდნენ ხოლმე ამ ერთგულს ზირუტებებს.

ეს დღეც მშვიდობიანათ დაბინდდა, —შესანიშნავი არა მომხდარა რა, მხოლოთ ორიოდე ბარგის ცხენმა ართურმა გამართეს და კლდეში მიბმანდნენ. ჯარმა დაიბინავა ორ წეალში. ეს იურ მიჯნა მშვიდობიანობისა, —ამას იქით მტერის შეტაკებას მოველოდით. ეს იურ ის ადგილი სადაც ლამჭრობის შემდეგ—დიდოელებს ედგესასწაულათ და ბევრი გარგი ბატენის განჭი გამოხხათ. ერთი დიდი ველი, სადაც ჯარმა დაიბინავა, საგვე იურ ცხვრის ტეავებით და მვლებით. საწელება თუშებმა ბევრი თავიანთი მეტობები და ნათესავების გვამები იზოვეს აქვე, —წეალში ჩაერილები.

11 თიბათვეს გათენდა კარგი დილა, გაუყდეჭით გზას, —გააჭირა საქმე აღმართმა. ავედით ხიტრახოს თავზედ, დაგვიდგა ერთი სამაგელი ჯანდი, დაპუბ ზედ ქარი და ვაი ვაგლახი, ხალხი მეტათ დაიღალა და ამისა გამო მოგვეცა რამდენიმე საათით დასვენება. როცა ჰატარა გამაიდარა—დიდმა და ჰატარამ დავუწევთ ცეკვა ხიტრახოს, —და დაგვანახეს იმათაც. ხალხმა მოძრაობა დაიწეო: ლეკები მირბოდნენ და გამობოდნენ ბანებზედ. თანხმად მოცემულის ბრძანებისა, თ. გიორგი ჯორჯაძემ გაუგზავნა ხიტრახოებს შუაქაცები, და ორმოციოდე თუშიც დასაზევრავად გაგზავნეს. შასხდნენ ჩვენი ელჩები ერთ გორაკაზედ და გაპეივლეს იქით მხარეს, სადაც ხიტრახოები იქნენ. რამდენი ხნის შემდეგ თხუთმეტიოდე თოფ-იარაღში ჩასხმული, მეტათ ლაზათიანი ლეკი-ბიჭები გამოემართნენ ჩვენებ, შამოეუარნენ ჩვენს გაგზავნილებს და ერთათ წამოვიდნენ. რა დაინახა ჩვენმა ჯარმა მომავალი ლებები, დაიწეო ფეხების ზაგა-ზუკი, მოელი ერთი საათი ერთმანეთს უბძნებოდნენ: ლეკები, ლეკებით!.. ერთმა აფიცერმა მოამზადა კიდევ თავისი ჯარი, —ასე ეგონა იმ უბძეურს 15 კაცი მოელს ამ რაზმს დაეცემაო. უბძნება ჩვენი წინამდღვანი, დინჯათ იუგით, ნუ გეშინიანთ—საომრათ არ მოდიანო. მაგრამ ისე აღელდნენ, . . . . . რომ სარდალი იმულებულიერ მისულიერ თითონ რაზმში და განემეორებინახალხისათვის ისევის, რაც ზირადიმათ მეუფროსებს უბძანა. მოვიდნენ ხატრახოები, —გამოსწავნენ წინამდღვანთან და გამოუწადეს, რომ „ჩვენ აჯანებაში არა ვრეულვართო, რამდენიმე

ჩვენგანი იმ ლექის მიღიციაში იმუოფება, რომელიც აჯანებულებს ებძიან და უკელა ამის დასამტკიცებლათ, ჩვენც თუ გვიბმანებთ—დღესვე მთელი სოფელი შამოვირიცხებით თქვენს ჯარში და სადაც გაგვე ზავნით წაგალთ საომრათაო. წინამდგანის ბრძანებით რამდენიმე მროხაც მორექეს და ზოგი აჩუქეს, ზოგი მიჰყიდეს ხალხს; მაგრამ ზოგმა არ ინება სეიდვა, სახელდობრ, თფილისის შოლების ბატალიონმა, მტერთან მოგვულებართ მუქთათ უნდა მოგვცენო, მაგრამ წინამდგანმა არ უებულა და თვითან უეიდა და აჩუქა. თ. გიორგიმ იმ დღეს დაითხოვა ხიტრახოელები და უბმანა—მეორე დღეს მოსვლა. მართლა და მეორე დღეს ორმოცი დაიარადებული ხიტრახოელები და უბმანა—მეორე დღეს მოსვლა. მართლა და მეორე დღეს ორმოცი დაიარადებული ხიტრახოელები გამოსცხადნენ სარდალთან. ცუდი ამინდი მაინც არ მოგვემვა. რადგან ხიტრახოელებმა შშვიდობიანობა მიიღეს და, როგორც აღმოჩნდა საქმიდამ,—არც ზირველშივე მიეღოთ მონაწილეობა აჯანებაში,—ამისა გამო წინამდგანმა ჯარი წამართა სუფროსაგენ.

სოფელი ხუფრო მდებარებს ვაკე ხეობაში,—სოფლის გარეშემო მთის მირებამდე სუდ დახნული ადგილები აქვთ. გზა ჩასდექს მთაზედ,—რომელზედაც დიდი ხმირი ტექა. ამ გზას მველათგანვე უწოდებენ „სისხლის ხიდათ.“ ბეჭრი ქრისტიანის სისხლი დაღვრილა ამ ბილიგზედ. მართლა და, თუ აქ მტერმა შაუტია, ჯარი ვერას გააწეობს! მტერს შეუძლიან ტეიდამ დიდი ზარალი მისცეს ჯარს, უფრო იმიტომ რომ აქ ჯარი ჯგუფათ მიდის,—მაშინ როდესაც თვითან ჯარი კი მაგდვენს ვერას დააკლებს, რადგან არც ნიშანში ამოღება შეიძლება და არც შეტევა. ეს გზა, რასაკვირველია მხედველობაში პქნედა წინამდგანს და იმის მეცადინებობა იმაში მდგომიარებდა, რომ თვალ-ნათლიდე ჩაევლო. დამზერავებმა დაარწმუნეს წინამდგანი, რომ ხუფროელები დაშინებული არიან და რომ ამ ტექში არავინ არის დამალული. ამასთანავე გზაზედ წინამდგანს მოუკიდა დიდოს ნაიბისაგან ქადალდი, რომელმიაც ის აცხადებდა ხუფროელების დამშვიდებას და სთხოვდა, არ ჩამოეეგანა ჯარი რადგან ჯარის ჩამოსვლით ჭირნახულები გაუფუჭდებოდათ—და მით შესაძლო იქო ხელმეორეთ აღელვებულიერ ხალხი. ამის გარდა მოვიდა ამბავი შოლეოგნიგის თ. ნაგაშიმისაგან, რომელიც აცნობებდა ჩვენს წინამდგანს, რომ ის გამომგზავრებულა ს. ასახოსაგენ და სთხოვდა თ.

გიორგი ჯორჯაძეს,—ამასაც ისე წაევანა ჯარი, რომ თოთხმეტს თიბათვეს შეერთებულის მალით ერთათ მისულიერენ ასახოზედ. უკელა ამისა გამო ხუფროში ჩასვლა არ შეიძლებოდა და უფრო საშიშიც იქო, რადგან იმ ხეობაში დაბინავებულ ჯარს, მაღლა სერებიდამ მტერი სულს ამოართმევდა და ისე მოვიდოდა საქმე, რომ ჩვენებს ქლეუტას დაუწეუბდნენ და ჩვენ კი იარაღსაც ვერ ვიხმარებდით, ვერც უკან დავბრუნდებოდით, რადგან ცუდი ამინდიც იქო და მასთან იმ საშინელს აღმართს გათენებამდინაც ვერ ავიდოდით; მერე ჯარიც დაღალული იქო დასვენებას ითხოვდა, რადგან მეორე და მესამე დღეს შეტაკებას მოველოდით. წინამდგანმაარჩია უელაზედუეკეთესი ადგილი, რომელიც კი იმ არე-მარეში მოიძებნებოდა და დაბაინავა ჯარი. იმ ადგილს ეწოდების „რუსის ნალაგირალი.“ ამ წოდებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ რუსის ჯარი არა-ერთხელ დაბანავებულა იმ ადგილს. ეს ადგილი მდებარებს ერთს მაღალ სერზედ, რომელიც ჩაშვებულია ფერდობებით სამივე მხარეს და ამ ფერდობებზედ ამოსულია ტექ,—მეოთხე მხარეს წამოუწევს მეორე მაღალი სერი. თვითონ ეს ადგილი უფრო ვაკიანია ვიდოე—დაბალ-მაღალი. წინამდგანმა განსინჯა ეს ადგილი, დაბაინავა, დააფთხილა ჯარი და დამის ეარაულები დააექნებინა შემდეგის სასით: ფერდობების თავზედ იდგა სიმგრგვლივ ეველგან ერთი რიგი ეარაულებისა,—დაბლა ფერდობებზედ ტექის შორიახლო იდგა მეორე რიგობა ეარაულებისა. ამ სასით მთელი ეს ადგილი, სადაც ჯარი იქო დაბანავებული,—შემოტექული იქო სიმგრგვლივ—ორის რიგის ეარაულებით. ამ ეარაულების ხმირათ დაშინჯვა და დაზვერა,—თანხმად მიცემულის ბრძანებისა—ედო ვალად ჯარის მედლევესა (დეკურნეს.)

ჩვენის მისულისავე უმაღ ამ ადგილზედ, მოვიდნენ წინამდგანთან რამდენიმე ხუფროელები,—თავი დაუკრეს და მოახსენეს, რომ ხუფროელები მშვიდობიანათ არიან და არა გვარი კავშირი აჯანებულებთან ადარა აქვთო. პატარა ხანს უკან წინამდგანმა დაითხოვა ისინი თავ-თავის სახლებში უფრო იმიტომ, რომ აღელვებულს ჯარს რაიმე უსიამოვნობა არ მოსვლოდათ ამათოან. წასვლის დროს ბეჭრმა დაბარებს ხუფროელებს—გასასეიდი საკლავები, რმე და სხვა. უკელაფრის აღსრულებას დაგვარდნენ. ხალხმა ჭამა ვახმამი და მიეცა მოსვენებას. დაიშინჯა კიდევ ეარაულები, მიეცა სიფთხილის ბრძანების მეოთხე ჯარის მედლევეს და მთელმა

ბანაკმა მოისცენა. არ გიცი სხვებს როგორ,—მე კი  
კარგა ზომიერათ მოქანცულს,—ლაპათიანათ მემინა.  
უცებ ნაშეაღამის ორს საათზედ შემოგვეხმა თოფის  
სროლა და საშინელი ღრიალი. წამოვდეჭით ფეხზედ.  
ვერ წამოიდგენთ რა საშინელება იქა: სამივე მხრიდამ  
მოდიოდა გახურებული ტევია. წინამდგვანმა მაშინვე  
დაიარა ეველა მხარეები,—ეველგან ისე მაგრათ  
და მკვიდრათ იდგა ჯარი, როგორც გაჭიმული  
ჭახანი. სროლაზედ სროლა იქო ზასუხად და მასთან  
გაუშევებული ხმამაღლივი კიუინა. თფილისის  
ადგილობრივს ზოლების მესამე ბატალიონის  
ღრიალმა—თავზარი დაგვცა. წინამდგვანი ფიცხლავ  
მიემართა იქ, მაგრამ, ღმერთო, რამბავი იქა: მთელი  
ბატალიონი არელული იქო, ზოგი წევს, ზოგი ფეხზედ  
დგას, ზოგი ჩახოჭილია,—იქო უთავბოლო თოფის  
სროლა იმათ მხრივ და საშინელი ღრიალი!.....აი რას  
წარმოადგენდა ეს მხარე. აფიცრები ზოგი იქ იქო,  
ზოგი არა,—მაგრამ ერთს ადგილს დიდხანს იმათვანი  
არავინ დარჩენილა. არ იქმნა ვერ დააუენეს რიგიანათ  
ფეხზედ,—აუკრძალეს თოფის სროლა და ღრიალი,  
მაგრამ შენც არ მომიკვდე. შემდეგ წინამდგვანმა  
უბმანა თოფები სულ დაეცარიელებინათ და უპან  
მიმდგარიევნენ. თუმცა ამ ბატალიონმა რამდენჯერმე  
ერთხმათ ესროლეს თოფები,—მაგრამ თითონაც არ  
იცოდენენ—საით მიდიოდა იმათი ტევია. ეტერბოდა,  
რომ მტერი ამ სუსტს ადგილს უფრო მოაწვა. რა  
დაიწივა ბატალიონმა უკან,—მაშინვე წინამდგვანის  
ბრძანებით ფშავ—თუშების დასმა დაიჭირა იმათი წინა  
ალაგი. რა მოვიდნენ იმ ადგილს, ფშავლებმა და  
თუშებმა მოიძართეს თოფები და ფიცხლავ წაწვნენ—  
სერზედ. ესროლეს ერთხელ—მეორეთ და მით მოხსენე  
მტერის მხრიდამ სროლა. ამასობაში ლეგბმა  
რამდენჯერმე შეუტიქს სხვა მხარეებსაც, სადაც  
ქართვლის დასები, თელავის და სიღნაღის კამანდები  
იდგა,—მაგრამ ვერა გააწეს რა,—ამათმა ბეჭითმა და  
მარჯვე სროლამ უპუაქრია მტერი. ცხენებსაც დაეწვენ  
ლეკები, მაგრამ გაგზანილმა ორმოც და ათმა  
კაცმა თელავის და სიღნაღის კამანდისამ,—ბევრი  
გადაატარეს კირამალა და მით დაუშალეს ცხენების  
გარება.

(ქადაგი ფეხი.)

ჭიროელი.

## სავათნავას ლექსიზი

### I

კარგი ვაჟი კაცი შევიდეს ომში,  
თოფი რომ დასცალოს ხმალი მოისწროს,  
იმთენი ეასტი ჰქმნას სწორთ ამნხანაგ ში  
მტერი მარჯვედ მოჰკლას სხვამ არ დაასწროს.

ჰალალი იმდომე ნუ გინდა სხვისა,  
ვინც არამს ინდომებს ის ემმაკისა.  
ბმანება რომ მოვა მაღლისა მღვთისა,  
ერთის ღრუბლით სულ ქვეუანა მოირწეოს.

ჰეგიანს კაცს ექმნება გონება გონი,  
სამოცი სჯულია ადამის ტომი;  
ჩვენში არ ერევა შავი მილთონი:  
ადათია, ცეცხლში უნდა დაიწოს.

ლექრთს გაუჩენია საჭმელად შერი,  
სიტევას მოგახსენებ მომიგდე ეური:  
საედარს უნდა ლოცვა, ღვთის სამსახური  
მებალე დავითამ არ დაივიწეოს.

ზღვას რას გააშრობს ვარს კვლავის სიცხე?  
მტევარი ცხრილით როგორ უნდა აიწეოს?  
ქარი რას დააკლებს ქვიტკირსა კლდესა,  
თუ გინდ წლის წლამდისინ ქროლა დაიწეოს?

თუ გინდ გაათეთო სხილენბის თასი,  
სხილენბი ერთი, ვერცხლი ათასი;  
ქიქას არ ედება ალმასის ფასი,  
თუ გინდ მაღლა თაღხაშიაც დაეწეოს.

ზოგი კაცი არის ემმაკის მუშა,  
ემმაკის ნაშენი ღმერთმან დაფუქშა!  
გოგრა არ გასდება შირაზის მუშა,  
თუ გინდ მაღლა თაღხაშიაც დაეწეოს.

თუ გინდ თუგზი დაჰკლა, არ დაიუვირებს,  
ფეხთ ინის დადება რათ უნდა ვირებს!  
ქვიშა ბანბის ალაგს ვერ დაიჭერებს  
თუ გინდ უეთნის საბანშიაც გაეწეოს.

ნურვინ იტევით, ეს ქმაწვილი ვინა ვარ?  
ანაბანა ვიცი სიტევით წინა ვარ,  
საოთნაო მქინას არუთინა ვარ:  
სიტევას ვიტევი, ცამ ქუნილი დაიწეოს.

## II

სოფელსა და სოფელს-შეა მთას ამბობენ, მართალია, ბულბულები თქვენის ბაღის გზა ამბობენ, მართალია, ჩინი-ძაჩინის ხელმწიფისას დას ამბობენ, მართალია, ბევრი ქვეყანა გინახავს ზღვას ამბობენ, მართალია.

შეგცოდე, ხელი გაწვდინე, დამჩხვლიტე მავალივითა, თითებზედ სისხლი ჩამომდის ფერად-ფერად დალივითა; მე ამ ნაღველს ვერ გაუმდებ გული მაქვს მისხალივითა როს მოგემო მე, ლამაზო, თვალი მექმნა წეალივითა, ჩემსა გარდა ოცდა ორსა სხვას ამბობენ, მართალია.

გინც რომ მოვა, გიახლება, ჰევზედ უფრო ჭებას დასდებენ, გულისური წაერთვეა, კისერზედან ხმალს დასდებენ; ნაღვლიანად შეიქნება თითქმის გულსა მთას დასდებენ, ან ჩააგდებენ ხაროში, ზედ წისქვილის ქას დასდებენ, ჩამსვლელი ვერარ ამოვა, ქას ამბობენ მართალია.

დამქარგე, ნაპირს ვერ გაჟელ, დამქარ ზღვისა სილასავით, ახლა შიშით დოს უბერამ, შენ ვამთუთქე შილასავით ნახევრამდის ორმოში ვარ გატეხილი ქილასავით. ახლა მაინც დამესქნით, გავცევთილვარ ლილასავით, საოთნაოს გურგინ ხანის ქმას ამბობენ, მართალია.

## ბრძოლა რომის დასაპროგლად

(ჟეჟება) \*).

ო ტ ა ლ ი ა

ამასობაში ამალასვინტას მოესმა წყლის შემოვარდნის შუილი. დაფეთხებულმა ამალასვინტამ დაიწყო აქედ-იქით ტრიალი, რომ როგორმე გასავლელი კარი რამ ეპოვნა; მიხედ-მოხედა კედლებს, მაგრამ დელფინებისა და ტრიტონების მეტი ვერა დაინახა რა. თვალი მოპრა ლუსკუმად გამოკვეთილს თავს მედუზისას, რომელიც ჰავარავდა სანათურს და ერთი საშინლად დაიკივლა. მედუზის თავი იქით მიწეულიყო და სანათურიდამ გამოიჭყიოტებოდა ცოცხალის ადამიანის პირის სახე. ამასვინტას მთელმა ტანმა თრთოლა დაუწყო, მიეყუდა

მარმარილოს კედელს და თვალი მიაპყრა ამ საშინელს სანახაობას. დიახ, პირის სახე იგი იყო გოდელინდისა, სრულიად შეშლილი მტრობისა და ბოროტებისაგან.

ამალასვინტას მუხლი მოეჭრა და ორივ ხელი მიიფარა პირის სახეზედ.

— აქა ხარ შენა!

ამის პასუხად ხრინწიანის სიცილის ხმა მოესმა

— დიახ, ამელუნგების რძალო, მე აქა ვარ და ჩემთან არის შენი აღსასრულიცა. ეს სახლი ჩემია—იგი შენ სამარეთ შეგვეწეა. მე ეს სახლი ვიყიდე კასსიოდორისაგან, მე უკან გამოგედევნე შენ, რომ შურის-ძიებითა ჩემი გულის წყურვილი მომეკლა. მე სიხარულით დავსტკბები, როცა ელდა და ტანჯვა მაგ ამაყს სახეს დაგიბრეცს და შეგიშლის მაგ ამპარტავანს სანახაობას,—ოჲ, მე ხარბად შევსავ მთელს ზღვას შურის-ძიებისაო.

— შურის-ძიებისას! რისთვის, რისთვის! რა მიზეზია მაგ სიკვდილით მოსილის მტრობისა და მძულვარებისა?

— რაო, მაგას შენ კითხულობ კიდეც! მართალი ხარ, ბედნიერება გულმავიწყია, მაგრამ მტრობას კი თავის დღეში არა დაავიწყდება რა. განა დაგავიწყდა, რომ ოდესლაც რავენნაში ორი პატარა ქალი მინდორზედ თამაშობდნენ? ერთი მათგანი მეფის ასული იყო, მეორე კი ბალტთა გვარისა. ორივე ლამაზნი და მხიარულნი იყვნენ. სხვათ პატარა ქალებს, ამ ორთან მოთამაშეთ, უნდოდათ დედუფალი ამოერჩიათ და ამოარჩიეს გოდელინდა იმიტომ-რომ იგი შენზედ უფრო ლამაზი იყო და არც იმისთანა გულ-ამაყი იყო როგორც შენ. ორჯელ ზედი-ზედ ამოარჩიეს გოდელინდა. ხოლო როცა მესამედაც იმის ამორჩივა უნდოდათ, მეფის ქალი სრულიად აინთო რისხვითა და შურითა, წაავლო ხელი ხეხილის-საკვეცს მაკრატელსა....

— ოჲ, ღმერთო მიხსენ!.. ნუ, ნულარ იტყვი, გოდელინდავ.

— და პსტყორცნა პირის სახეში გოდელინდას საშინელის კივილით, სისხლში მოსვრილი დავეცი

\* ) „ვერა“ №№ 19, 21, 22, 23 და 24.

მე მაშინ დედამიწას. მთელი მარცხენა ლოყა თავიდამ ბოლომდე გამეხა, მარცხენა თვალი გამომეთხარა. ეჭრა რიგად მტკიოდა, რა რიგად! მე თითქმის ეხლაცა ვგრძნობ იმ ტკივილსა.

— შემინდე, შემინდე, გოდელინდავ, ამოიკვნესა ამალასვინტამ.

— შემინდეო! შენგინდა, რომ მე შენეგ შეგინდო? არა, შენ მაშინ ძლევა-მოსილებით ფარფარებდი, ბურთი და მოედანი შენ დაგრჩა, მერე როგორ? სამუდამოდ გოდელინდა შენ ვეღარას ფერში ვერ შეგეცილებოდა: იგი ჰსწუხდა და ტიროდა ჩუმ-ჩუმად, ყოველს ადამიანს ემალებოდა მაგრამ გაიარა რამდენიმე წელიწადმა. მეფის დარბაზს მოვიდა კეთილშობილი ევტარიხი; თვითონაც სნეული იყო და შემიბრალა ცალთვალა, დამახინჯებული ქალი. იგი იმდენის გულ-კეთილობით, იმოდენის გულის-ტკივილით მექცევოდა მე, მახინჯსა, მაშინ როდესაც სხვანი ყოველი ზურგს შემაქცევდნენ ხოლმე როცა დამინახავდნენ! ვიშ რა სასიამოვნოთ პქონდა ამისთანა ქცევა ჩემს მტკივნეულს გულსა! ბოლოს საქმე იმაზედ მიდგა, რომ მე ის ცოლად მირთავდა. მაგრამ შენ ეს შეიტყე თუ არა, მაშინვე იმის ცდას შეუდეგ, რომ წაგერთმია ჩემთვის ევტარახი; იჭვის გამო კი არა, — არა, შენ ის არ გიყვარდა: შენ მხოლოდ ის გინდოდა, რომ შენ დაგრჩენოდა სამეფოში პირველი კაცი, მემკვიდრე გოთთა სამეფო გვირგვინისა. ბედმაც ხელი მოგიმართა; მამა შენი არ იყო ჩემულ შენთვის რაზედმე უარი ეთქვა და ევტარიხმაც დავიწყებას მიჰსცა თვისი გრძნობა ცალთვალა მახინჯისადმი, როდესაც მას მახე გაუშალა მშვენიერმა მეფის ქალმა. მე ჩემს ბედად დამინიშნეს საქმროდ—თეოდორადი—ეგ საბრალო ქალაჩუნა.

— გოდელინდავ, გეფიცები, მე არ ვიცოდი, რომ შენ ევტარიხი გიყვარდა. მე როგორ შემეძლო....

— მართალია, შენ როგორ შეგეძლო წარმოგედგინა, რომ ჩემისთანა დამახინჯებულს არსებას მაგისთანა მაღალი გრძნობა პქონდა?

ჰო, წყეულო, ნეტავი გყვარებოდა მაინცა! მაგრამ არა,— შენ მარტო სკიპტრა გიყვარდა და თვით ევტარიხი კი გააუბედურე. მე მინახავს ევტარიხი შენთან ერთად, იგი წვალებული იყო, იგი გვემული იყო. მწუხარებამ გაუთხარა მას საფლავი. მე წამართვი შენ საყვარელი კაცი და მოაკვდინე კიდეც.... სისხლი, სისხლი მწურის მისდა სანაცვლოდ!....

განიერმა კამარამაც ციხისამ ხმა მოჰსცა: სისხლი, სისხლი!

— მიშველეთ, დაიკივლა ამალასვინტამ, დაუწყო ხელით კედელს ცემა და მის გარეშემო გაფეთებულად სირბილი.

— იყვირე, იყვირე, აქ შენ არავინ მოგეშველება, აქ შურის-ძების ღმერთის მეტი სხვა არა ვინ არის. შენი აღსასრულის საათი მოვიდა.

— რა გინდა პქნა?

— მინდა შენჩაგახრჩო, აუჩქარებლივ ნელ-ნელა ამ აუზში, რომელიც კასიოდორს აუშენებია. აქ, ამ კედლებ შუა მრავალი უპატიურობა მიმიღია შენგან, ბევრჯელ ვჩაგრულვარ. გახსოვს ამ აუზთან რამდენ ჯერ გამიხდია შენთვის ფეხსაცმელი და გამიშრია შენი საცვალი ტანისამოსი? აქ გითხრი კიდეც საფლავსა.

ჰსოჭვა ესა თუ არა, ჭახრაკს ხელი დააჭირა.

რგვალი რკინის ფიცარი ორად გაადიშალა, თვითო მისი ნახევარი კედლებზედ ჩამოეკიდა. ამალასვინტას ელდა ეცა, რომ დაინახა ბნელი სივრცე, მის თვალთა წინ წარმომდგარი. საშინელის ჭახანით წყლის საგუბრები მოეცალა მილებს, ტბის წყალი შემოვარდა და გასაოცებელის სისწრაფით აბანოს ოთახი წყლით ივსებოდა.

ამალასვინტა მიხვდა, რომ მას აუცილებელი სიკვდილი მოელის და მოიკრიფა რა ყოველი ძალ-ღონე თვისი, დაემორჩილა ბედის-წერას: ერთგან კედელზედ გამოკვეთილი იყო ჭვარცმა ქრისტესი. ამალასვინტა დაეცა მის წინაშე მუხლებზედ, მიიფარა თვალებზედ ხელი და მოჰყვა ლოცვასა. წყალი კი თან თან უფრო

მაღლა ამოდიოდა ასე რომ კიბესაც მოადგა.

— შენ ლოცულობ კიდეც! შეჰყვირა გოდელინდამ: შორს მაგ ჯვარცმისაგან!

ამ დროს უეცრად კედლის მილებიდამ ყოველ მხრივ წამოხეთქა ცხელმა წყალმა და ოთახში ორთქლი დადგა.

ამალასვინტა ეცა შუაგულს ადგილს, მედუზის ლუსკუმის ახლო, საცა ჭერ კიდევ წყალი არ მოდგომილიყო. აქედამ ამალასვინტა რომ ბაქანზედ ასულიყო, მას შეეძლო განსაცდელი ცოტახნობით შეეფერხებინა; გოდელინდასაც ეგ უნდოდა, რომ ამალასვინტა უფრო დიდხანს ტანჯულ იყო განსაცდელის მოლოდინითა და თვითონ ამით ესიამოვნა.

წყალი მარმარილოს იატაჭედ ამოვიდა კიდეც და ამალასვინტას ფეხს შემოჰსრდა. საწყალი ამალასვინტა სწრაფად ავიდა ბაქანის კიბეზედ, გადმოეყუდა მუაჭირს და დაიყვირა:

— ყური მიგდე, გოდელინდავ! ჩემი უკანასკნელი ვედრება მოისმინე, მე გევედრები ჩემის თავისთვის კიარა, ჩემის ხალხისათვის, ჩვენის ხალხისათვის—პეტროსას უნდა ხალხის დაღუბვა და თეოდოლადიც....

— მე ეგ წინადვე ვიცოდი, რომ სამეფოზედ ფიქრი ყველაზედ უფრო ძალიან გაწუხებს შენ. მოკვდი, სამეფო ჩვენი დაღუბულია სამუდამოდ. ბელიზარი მოახლოებულია კიდეც და გოთთის ხალხს ამ ამბავს არავინ შეატყობინებს.

— ჰსცდები, შე სატანავ, იმათ შეტყობილიცა აქვთ ჩემგან. გაუმარჯოს ღმერთმა ჩემს ხალხს! სიკვდილი მტერთა მისთა და ცხონება სულსა ჩემსა!

ამ სიტყვებით ამალასვინტა გადავარდა ბაქანიდამ წყალში და მსწრაფლ დაიძირა მის ზვირთთა შორის.

გოდელინდა დიდხანს შეჰყურებდა იმ ადგილს საცა იდგა ამას წინად მისი სხვერპლი.

მერე შეხედა წყალს; დაინახა წყლის ზედაპირზედ მოტივტივებული ყელსახვევი ამალასვინტისა.

— სიკვდილშიაც კი ეს დედა-კაცი ჩემზედ

უდიდესი და უმაღლესია, ჰსტერია მან: რა ხანგრძლივად იყო ჩემში მტრობა და რა მოკლე ყოფილა წუთი შურის-ძიებისა!

— ამ ამბის შემდეგ რამდენსამე დღეს უკან პეტროსას სადგურში შეყრილიყვნენ რამდენიმე წარჩინებულნი რომაელნი. მათ შორის სამღვდელონიც იყვნენ. მათ სახეზედა გამოხატული იყო გულისწყრომა, რისხვა და ზარი.

— ხმა-მაღლა და საქვეყნოდ გიცხადებთ თქვენ ჩემის იმპერატორის სახელითა, წარმოჰსტერი პეტროსამ: რომ შეიძლება ფათერაკი რამ შეამთხვიონ და ძალა რამ იხმარონ მეფის შთამომავლობის გვამსა ზედა. აი ცხრა დღეა გასული მას აქედ, რაც იგი უჩინოდ იქმნა რავენიდამ. იმავე დროს უჩინოდ იქმნა რავენიდამ. იმავე დროს უჩინოდ იქმნა დედუფალი გოდელინდაც. მე ყოველგან გავგზავნე მდევარი და მზგერავი, მაგრამ აქამომდე არა რა ამბავი არ მომსვლია; ვაი თუ....

სიტყვა ვერ დაასრულა. რაღაც ბუნდი ხმაურობა მოესმათ ჰერკულესის მოედნიდამ. ამ ხმაურობის უმაღვე კართ უკან აჩქარებულის ფეხის ხმაც მოისმა. ფარდა გადიწია და მატვრით მოსვრილი ბიზანტიელი მონა შემოვარდა ოთახში.

— ბატონო, იგი გარდაიცვალა, იგი მოაკვდინეს, დაიძახა მონამ ხმა-მაღლა.

— მოაკვდინეს! განიმეორა ერთხმად ყველამ.

— ვინ მოაკვდინა? ჰკიოთხა პეტროსამ.

— გოდელინდამ, თავის აგარაკში, ბელვენერის ტბაზე.

— მიცვალებული სად არის? სად არის მკვლელი მისი?

— გოდელინდა იფიცება, რომ დედუფალი ამალასვინტა თავისის მიზეზით დაიხრჩო აბანოში, რაღანაც ფრთხილად ვერ მოექცა წყლის მილებსათ. თვითონ გოდელინდა ხალხის

რისხვას გაექცა და დაიმალა ვერეტრის ციხეში.  
— კარგი! ჰსონე პეტროსამ: მე მივდივარ ეხლა გოთთა მეფესთან და თქვენც გთხოვთ წამობძანდეთ, კეთილშობილნო გვამნო! თქვენს მოწმობას დავემყარები იმპერატორის იუსტინიანეს წინაშე.

ჰსონე და გაემართა მეფის სასახლისაკენ.

მეფე წინ მოეგება და განუწოდა ორივე ხელი, მაგრამ როცა დაინახა რომ პეტროსას ამალაც თან-მოსდევს, უცბად შედგა, რადგანაც ელდა ეცა რომ დაინახა პეტროსა გაჯავრებული და წარბშეჭმუხვნილი.

— შენ, გოთთა მეფეო! შეჰყვირა პეტროსამ კარის დირეზედ დაადგა ფეხი თუ არა: მე ბიზანტიის სახელით გთხოვ მომცე ანგარიში მასზედ თუ რა შეემთხვა მეფე თოდორახის ასულს! სად არის ამალასვინტა?

მეფემ გაოცებით შეხედა დესპანს, პეტრობდა მის ცბიერობას, ჰსიანდა რომ მეფე ვერ მიუხვდა აზრსა. მეფემ ხმა არ გაჰსცა.

— სად არის ამალასვინტა, სადა? განიმეორა პეტროსამ და ფეხი წინ წადგა.

— იგი გარდაიცვალა, ჰსონე თეოდალადმა და აირივა.

— იგი მოკლულია, დაიყვირა პეტროსამ: ასე ღალადებს მთელი იტალია, მოკლულია შენგანდა შენის ცოლისაგან. იუსტინიანე, ჩემი უმაღლესი ბრძანებელი, მწე-მფარველი იყო იმ დედა-კაცისა, იგი სამაგიეროს გადაგიხდის: მე შენ ომს გიცხადებ ჩემის იმპერატორის სახელითა, ომს — პირის-პირ თქვენდა, სისხლის მსმელნო ბარბაროზნო, ომს — პირის-პირ მთელის თქვენის გვარეულობისა.

— ომს პირისპირ მთელის თქვენის გვარეულობისა! განიმეორეს რომაელთაცა, გატაცებულთ ამა წუთის მედიდურობით და გოთთა მძულვარებითა. ჰსონე ესა და როგორც ტალღა ზღვისა მიიწივნენ ათრთოლებულს მეფეზედ.

— პეტროს, წაიბუტბუტა ელდაცემულმა

თეოდოლადმა ხმადაბლა: რად ივიწყებ ჩვენს მიერ დადგენილს შეკრულობას, ხომ შენ თვითონ...

ჰასუხის მაგიერ დესპანმა ამოიღო უბიდამ დახვეული ქალალდი და დახია.

— ყოველივე კავშირი ჩემის იმპერატორისა და ამ სისხლში მოსვრილ გვარეულობის შორის მოსპობილია დღეის იქთ, ჰსონე პეტროსამ დიდებულის სახის მეტყველებითა.

— ოკ, ღმერთო ამოიკვნესა თეოდოლადმა: რაგინდა ჩემგან პეტროს?

— მე მინდა რომ შენ შენს ბედს დაემორჩილოდა გაასხა გოთნი იტალიიდამ. შენ და გოდელინდას კი წარგადგენთ განსასჯელად ბიზანტიაში იუსტინიანის ტახტის წინაშე, იქ...

სიტყვა გააწყვეტინა გოთთა საყვირის ხმამ, და ოთახში შემოცვივდა ამოღებულის ხლმებითა მთელი ჭვეული გოთთა მეომარებისა, რომელთაც წინ მიუძღვდა გრაფი ვიტიგესი.

— ვინ ჰავდავს ამისთანა საუბარს გოთთა მეფის სასახლეში? იკითხა დადინჯებულის ხმით გრაფმა. პეტროსა ერთხანად შეფთხა, მაგრამ მალე მოვიდა თავის გონზედ.

— შენ გრაფო ვიტიგეს, უთხრა პეტროსამ: არ გეკადრება წამოესარჩო ამ კაცის მკვლელსა. მე მაგას ვიწვევ ბიზანტიაში, რათა წარსდგეს იმპერატორის წინაშე განსაკითხავად.

— ეს გითხრა და შენ, ამელუნგო, მართებული პასუხი ვერ უგე? შეჰყვირა მოხუცებულმა გოთთა წინამძღომელმა, მიუბრუნდა რა სიტყვა მეფესა.

მეფემ ხმა არ ამოიღო.

— მაშ მის მაგიერად ჩვენ გაგცემთ პასუხს, ჰსონე ვიტიგესმა: მაშ დაიხსომე შენ, ბერძენო, დაიხსომეთ თქვენც გულმრუდენოდა უმაღლერნო რავენელებო, რომ გოთთა ერი თავის-უფალია და ცისქვეშეთხედ არავინ მიაჩნია არც ბატონათ, არც გამკითხავათ.

— მაშ კაცის-კვლა, სისხლშესვრილი მოქმედება თქვენში განუკითხავად რჩება? იკითხა

პეტროსამ.

— როცა მაგისთანა ამბავი მოხდება ხოლმე ჩვენში, ჩვენვე განვიკითხავთ და სასჯელსაც ვსდებთ. ხოლო უცხოეთელს არ მოვუშვებთ და ნამეტნავად ჩვენს მტერს,—ბიზანტიის იმპერატორს. მას არამც თუ ჩვენს მეფეს არ მივცემთ ხელში, არამედ უკანასკნელს გოთის მონასაცა.

— მაშ თეოდალადის ბრალი და სასჯელი თქვენ გადაგხდესთ დღეის იქით. ჩემის ხელმწიფის სახელითა თქვენც გიცხადებთ ომსა, უთხრა პეტროსამ:—თრთოდეთ წინაშე იუსტინიანისა და ბელიზარისა!

ამის პასუხად გოთებმა სიხარულის ძახილი შექმნეს.

პეტროსამ იტალიაში მონდობილი საქმე შეასრულა. რავენნიდამ წასვლის უწინარეს გაუგზავნა იუსტინიანეს დაწვრილებითი მოხსენება მისდა მონდობილ საქმის თაობაზედ და ბოლოს ასე დაასრულა წერილი:

„ამ სახით ხელმწიფე, შენ ერთის მხრით უნდა კმაყოფილი იყო შენის ერთგულის მოსამსახურისა და მეორეს მხრით მისი, რომ საქმე ასე კარგად დაეწყო იტალიაში. ბარბაროზთა შორის განხეთქილება არის და ორად განიყვნენ: ტახტზედ ზის ყველასაგან მომულებული მეფე, უნიჭო და ორგული; იტალიის ხალხი ყველგან შენკენ არის; სასწაული რამ უნდა მოხდეს, რომ შენის საწადელის აღსრულებას კეთილი ბოლო არ მიეცეს.

„მხოლოდ ერთი რამ უსაზღვროდ მაწუხებს, ის, რომ მე ვერას გზით ვერ შევიძელ სიკვდილისაგან დამეხსნა უბედური ასული თეოდორიხისა. გევედრები დაარწმუნო ჩემი უმაღლესი მბრძანებელი, მეუღლე იმპერატორისა, რომელიც თავის დღეში ჩემი მწყალობელი არ ყოფილა, რომ მე თვითვეულად აღვასრულე მისი ბძანება შესახებ გოთთის დედუფლის ამაღლავინტისა, რომლის ბედისათვისაც ასე გულმურვალედ ზრუნავდა, როცა წამოსვლის წინად ვახლდი

გამოსათხოვნელად ჩემს ხელმწიფას. რაც კი შეეხება თეოდორადს და გოდელინდას, რომელთაც ჩვენ გადმოგვცეს გოთთა სამეფო, ამათ გამო ვბედავ მოვახსენო დიდს ხელმწიფას თეოდორას ერთი კანონი უმაღლესის კეთილგონიერებისა: საშიშარია ხელმწიფის სასახლეს დაუახლოვონ ისინი, რომელთაც ჩვენი ხვაშიადი იციან.“

ეს წერილი გაუგზავნა თუ არა, პეტროსა ბიზანტიაში წასვლის მზადებას შეუდგა. მას უნდოდა ფეხ-დაზმით სიარული, აუჩქარებელი, იონის ზღვის პირ-პირ სვლა, რომ ალღო აეღო მისი, თუ ხალხი რას ჰფიქრობს და საით მიიწევს ხალხის წადილი და გულის თქმა. იგი მეტად მადლიერი იყო თავისის მოღვაწეობისა, იტალიაში, როცა ამაზედ ჩაფიქრდებოდა ხოლმე, — და ეძლევოდა ოცნებას მასზედ თუ რა ჯილდო მოელის ბიზანტიაში. პირველი რომ იგი მიდის თავის ქვეყანაში ერთი ორად მდიდარი მასზედ რაც მანამდე იყო, მეორე რომ იქ თავის ქვეყანაში იმედოვნებდა თავადობის მიღებას ჯილდოდ რა რიგად უხაროდა პეტროსას როცა წარმოიღვნებდა, რომ იგი დღესა თუ ხვალ, როგორც თანასწორი გვერდთ დაუდგება ნარჩენსა, თავის ამპარტავან ბიძაშვილს, რომელმაც ამისათვის არა ფერი კეთილი არა ჰქმნა რა!

რამდენსამე დღის შემდეგ იგი გამოეთხოვა თვის მეგობრებსა რავენნაში, ჩაჯდა დესპანის ხომალდში „ნემეზიდაში“ და წამოვიდა სრულიად კმაყოფილი და ბედნიერი.

რა მიუახლოვდა ბიზანტიას, პეტროსამ თანხმად თეოდორასთან დადებულ პირობისა, გაგზავნა იალქნიანი ნავი ლამპსაკიდამ რომ თეოდორას აცნობონ მისი მოსვლა. აი გამოჩნდა კიდევ ბიზანტის ნავთ-სადგური. ჯერ ხომალდი პეტროსასი ნავთ-სადგურში არ შესულიყო, რომ შორს გამოჩნდა თეოდორას საკუთარი გემი. ის გემი წინ შეხვდა დესპანის ხომალდს და რამდენსამე წუთს შემდეგ მოისმა

გემიღამ ბძანებაცა, რომ ხომალდი დესპანისა  
შემდგარიყო. როცა ნავი და ხომალდი ერთ-  
მანეთს დაუსწორდნენ, ხომალზედ გადმო-  
ვიდა ალექსანდრე. მან ხომალდის მმართველს  
მიაწოდა რაღაცა ქაღალდი. მმართველმა  
დახედა ქაღალდს თუ არა, ფერი ეცვალა  
ელდისაგან. ალექსანდრე მიუბრუნდა პეტროსას  
და უთხრა:

„იმპერატორის იუსტინიანეს სახელითა! შენ  
სასჯელში მოგცეს და სასჯელად დაგინიშნეს  
ხერსონესის მაღნების თხრა იმისათვის, რომ  
ყალბი ოქმები შეადგინე, უკანონოდ ახდევინე  
ხალხს სახელმწიფო გარდასახადი და მტრების  
ხელში ჩააგდე ასული თეოდორიხისა. იმპე-  
რატორს გული უთქვამდა რომ შეენდოთ  
შენთვის, მაგრამ ამალასვინტას სიკვდილით  
უნუგეშოდ შთომილთა ხელმწიფამ ჩვენმა  
თეოდორამ გადუშალა იმპერატორს ყოველი  
შენი ადრინდელი შეცოდება და დაარწმუნა,  
რომ შენ და გოდელინდას ერთი პირი მიგიციათ  
და ერთად გიმოქმედნიათ. ყოველი შენი ჭონება  
სახასოდ დაიდვა. ამასთან თეოდორამ ერთი  
რამ დამაბარა შენთან, უთხრა ეს ალექსანდრემ  
და მერე ყურში წაჰსჩურჩულა: თეოდორამ  
დამაბარა, რომ „შენ თვითონ შენს ჰქვიანურს  
წიგნში მირჩევდიო ბოლო მოვულო მას, ვინც  
ჩვენი ხვაშიადი იცისო.“

ალექსანდრე ისევ თავის გემში ჩაჯდა და  
პეტროსას ხომალდი „ნემეზიდა“ კი გამობუნდა  
უკან ბიზანტიის ნავთ-საღვურიდამ და სწრაფად  
თვალიდამ მიეცარა.

(ପାତ୍ରଙ୍କିଳୀ ପାତ୍ରଙ୍କିଳୀ.)

სახელმწიფო განვითარების  
მინისტრის მიერ

მართული ანგანი და პირველი საკითხავი  
წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ახალი ვრცელი  
და შეცვლილი გამოცემა, ფასი ორი შაური. ისეიდება  
გამომცემლის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში  
კუკიის ხიდთან. ვინც ნაღდ ფულზედ ასხ, ან  
მოძეტებულს ეგ ზემომდიარს ერთბაშათ იუდის, იმას  
ეგ ზემომდიარ დაეთმობა 9 კაპეკათა.

**დარიღება** მასწავლებელთათვის შესახებ  
ხმარებისა წინეთ მოხსენებული წიგნისა, ფასი  
ერთი შაური, ისყიდება იქვე და მელიქიშვილის  
სტამბაში.

**დედა მნა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი  
წიგნი, სახალხო შეკოლებში სახმარებელი, გამო-  
ცემა ზირველი, ჟემბული მრავალი სურათებითა,  
ფასი ქვეში შაური, ედაში გადაკრული ცხრა შაური,  
ისეიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში კუკის  
ხიდზე გინე ნაღდ ფულზედ იუიდის ერთათ ოც და  
ათ ეგ ზემშლიიარსა, ან მოქეტებულსა, იმას დაეთმობა  
უფლო ეგ ზემშლიიარი ხელ შაურათ, ედიანი ორ აბაზათ.

**ბუნების პარი,** ანუ საკითხავი წები დაბალ  
ქლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსე-  
ბული და შემკული სურათებითა და საქართველოს  
კარტითა, ფასი ხუთმეტი შაური. ისეიდება  
ვართანვის მაღაზიაში. ეგზემპლარი დაეთმობათ  
თოლხეტ შაურათ, ვინ თხუთმეტ ეგლეჭემპლარს  
ეთათ ნაღდ ფულზედ იქიდის, ცამეტ შურათ, ვინც  
ერთათ წაიღიბს ოც და ეგზემპლარსა და სამ აბაზათ  
ას ეგზემპლარის ერთათ მეტიველსა. ვისაც სურს  
ედაში გადაკრული მიიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატო  
სამი შაური.

საყმაზვილო პონა პირველ დაწყებითი მოთხოვნა გვიჩვენებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოწევა შირველი, ფასი კეჭვის შაური. ისეიდება თვილისში გართანვის და გრიქუროვის მაღაზიებში დაქუთაისში სვიმონ ჩოძანიძესთანა.

ისყიდება უფ. გართანოვის წიგნის მაღაზიაში  
ქართული წიგნი გლობა მეცე მრჩებლე მეორისა  
გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან. ფასი ერთი შაური.

Дозволено цензурою. Тифлісь, 7 Сентября 1877 г. Типографія Е. Хеладзе.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერია“ განხორციელით გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი,  
**რედაქტორ-გამოცემალი ნეგზარ გიორგაშვილი**

საარედაქციო ჯგუფი: ნელი დარბაძე, ნინო ერეთაშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუხნიაძე, ლალი გორიტაშვილი, თამუნა დგალი, ქერაბ დგალი, აგარ იობაშვილი. მხატვარი, პეტა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხერიელი

**პროექტი:** ივენია - ნუსალი ბაზრისა - გომის გადასაწყისებელი

အကြောင်းအရာများ၊ ပို့ဆောင်ရေးနှင့် ပို့ဆောင်ရေးနယ်မြေတွင် ပေါ်လေသူများ၊ ပို့ဆောင်ရေးနယ်မြေတွင် ပေါ်လေသူများ၊

“ აღმდენია ” – განვითარებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აპრილის და სამართლის მიერ გამოცემა „ ასტრიდი ”

საიდენტიფიკაციო №4048